

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი
(ISSA)

ქ. თბილისის პრობლემების სოციოლოგიური გამოკვლევის
ანგარიში

(2004 წლის დეკემბერი - 2005 წლის იანვარი)

სარჩევნო

შესავალი: მეთოდოლოგია სოციოლოგიური გამოკვლევისათვის	3
თავი 1. ქვეყნისა და საკუთარი ოჯახის მდგომარეობის შეფასება და მომავლის პროგნოზები	6
თავი 2. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობის შეფასება	14
თავი 3. ქ. თბილისის ხელისუფლების საქმიანობის შეფასება	17
თავი 4. ქ. თბილისში მოსახლარბეული და მოგვარებული პრობლემები	25
თავი 5. სანფორმაციო საშუალებებით სარგებლობა და მათ მიმართ ნდობა	39
ძირითადი შედეგები	43

შესავალი: მეთოდოლოგია სოციოლოგიური გამოკვლევისათვის

სოციოლოგიური გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევა.

კვლევის მეთოდი: სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის მეთოდით, კერძოდ, პირისპირ (face to face) ინტერვიუს ფორმის გამოყენებით.

კვლევის საგანი: სოციოლოგიური კვლევა ითვალისწინებდა ქ. თბილისის მოსახლეობის ატიტუდების შესწავლას დედაქალაქში მიმდინარე პროცესების მიმართ.

მოსახლეობის ატიტუდების შესწავლა განხორციელდა *შემდეგი პრობლემების* მიმართ:

1. როგორც ზოგადად ქვეყნის, ისე ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ზოგადი შეფასება და მომავლის მოლოდინები;
2. დამოკიდებულება საქართველოს, ქ. თბილისისა და მისი რაიონების ხელისუფლების მიმართ;
3. ქ. თბილისისა და მისი ცალკეული რაიონების პრიორიტეტული პრობლემები;
4. ქალაქის ხელისუფლების სხვადასხვა სფეროში მუშაობის შეფასება;
5. ქალაქის ხელისუფლების მიერ ბოლო თვეებში განხორციელებული ცვლილებების შეფასება;
6. ქალაქში დაგეგმილი ცალკეული ცვლილებების მიმართ მოსახლეობის მზაობის გარკვევა;
7. პოლიტიკური პროცესების შესახებ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით ყველაზე პოპულარული სატელევიზიო, რადიო არხები და ჟურნალ-გაზეთები.

კვლევის ობიექტი: სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა ქ. თბილისის 10 რაიონის საარჩევნო ასაკის მქონე (18 წლის და ზემოთ) მოსახლეობაში.

შერჩევა: გამოკვლევისათვის გამოყენებულ იქნა *მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა* წინასწარი სტრატეგიკაციის გამოყენებით. შერჩევის ბაზას წარმოადგენდა საქართველოს 2002 წლის აღწერის სააღწერო უბნების სია ქ. თბილისისათვის.

გამოსაკვლევე ერთობლიობა დაიყო 10 რაიონად, რომლებიც ემთხვევა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ სტრუქტურას. შერჩევის ფორმირების პირველ ეტაპზე შერჩევის მთელი მოცულობა გადანაწილდა რაიონებზე მათში ამომრჩეველების რაოდენობიდან კვადრატული ფესვის პროპორციულად. ყოველი რაიონი დაიყო სტრატეგად (ტერიტორიულ და დემოგრაფიულ ერთეულებად). რაიონისთვის გამოყოფილი კვოტები გადანაწილდა სტრატეგში მათში ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად. რაიონებში განისაზღვრა შერჩევის წერტილთა რაოდენობა იმ გაანგარიშებიდან, რომ ყოველ შერჩევის წერტილში ჩატარდებოდა 6 ინტერვიუ. ქალაქებში პირველადი შერჩევის წერტილს წარმოადგენდა საადწერო უბანი. ყოველ რაიონში საადწერო უბნების სიიდან, ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით, PPS მეთოდის გამოყენებით შემთხვევით შეირჩა პირველადი შერჩევის წერტილები. შერჩევის წერტილებში ოჯახის შერჩევა განხორციელდა ე.წ. “შემთხვევითი ხეტიალის” მეთოდით. ოჯახებს შორის ინტერვალი (ბიჯი) განსხვავებულად განისაზღვრა კორპუსებისათვის (ყოველი მე-11 ოჯახი, ამასთნ, კორპუსში არ გამოიკითხა სამზე მეტი რესპონდენტი) და კერძო დასახლებებისათვის (ყოველი მე-5 ოჯახი). იმ შემთხვევაში, თუ, რაიმე მიზეზით, შეუძლებელი იყო ოჯახთან და რესპონდენტთან კავშირის დამყარება, ინტერვიუერს ეკრძალებოდა უახლოეს ოჯახთან დაკავშირება და გადაადგილდებოდა ბიჯის დაცვით. ეს უზრუნველყოფდა რესპონდენტების გაფანტულობას და საკვლევე რაიონების მაქსიმალურ მოცვას. დამატებით, ინტერვიუერებს მიეწოდათ შერჩევის გეოგრაფიული წერტილები და გადაადგილების სივრცითი არეალი (ქუჩებისა და უბნების მიხედვით), რამაც გამორიცხა ერთსა და იმავე წერტილში განმეორებითი ვიზიტების შესაძლებლობა. რაც შეეხება ოჯახებში რესპონდენტთა ამორჩევის წესს, შემთხვევითობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, გამოყენებულ იქნა ე.წ. კიშის ცხრილი (Kish Table). იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრთა შორის ამ პრინციპით შერჩეული პიროვნება კიშის ცხრილით გათვალისწინებულ რესპონდენტს არ შეესაბამებოდა, ინტერვიუერი გადადიოდა შემდეგ ოჯახზე და ასე მოძრაობდა მანამ, ვიდრე სასურველ რესპონდენტს არ იპოვიდა¹.

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა მთლიანობაში შეადგენს 3000 რესპონდენტს.

გამოკვლევაში მიღებული შეფასებების **ცდომილებები** 50%-იანი პარამეტრისათვის (95%-იანი საიმედოობისათვის) არ არ აღემატება 4%-ს.

¹ უფრო დაწვრილებით შერჩევის მოცულობები თბილისის ცალკეული რაიონების მიხედვით, აგრეთვე, სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების ჭრილში იხ. დანართში.

მონაცემების *სტატისტიკური ანალიზი* განხორციელდა (SPSS 11.0) კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. ანალიზისას გამოყენებულ იქნა ისეთი მეთოდები, როგორცაა მონაცემების დაჯგუფება და ტიპოლოგიზაცია, კორელაციური ანალიზი, კლასტერული ანალიზი და სხვ.

საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო 70-მდე ინტერვიუერმა, რომელთაც აქვთ სოციოლოგიურ კვლევებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება. მათ ჩაუტარდათ სპეციალური ინსტრუქტაჟი კითხვარის სპეციფიკის გათვალისწინებით.

თავი 1. ძველისა და საკუთარი ოჯახის მდგომარეობის შეფასება და მომავლის პრობნოზები


ინტერვიუს პროცესში რესპონდენტებმა უპასუხეს შემდეგ შეკითხვებს:

1. რამდენად სწორი მიმართულებით ვითარდება მოვლენები საქართველოში?
2. როგორ შეიცვალა საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში?
3. როგორ შეიცვალა თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში?
4. როგორ შეიცვლება ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში მომავალი ერთი წლის განმავლობაში?
5. როგორ შეიცვლება თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა მომავალი ერთი წლის განმავლობაში?

დასახელებულ კითხვებზე რესპონდენტთა პასუხების სტატისტიკური მაჩვენებლები მოცემულია დიაგრამებზე (იხ. დიაგრამები №№1, 2, 3, 4, 5):

დიაგრამა №1


რამდენად სწორი მიმართულებით ვითარდება მოვლენები საქართველოში?



□ სწორი მიმართულებით	□ უფრო სწორი, ვიდრე არასწორი მიმართულებით	□ უფრო არასწორი, ვიდრე სწორი მიმართულებით
□ არასწორი მიმართულებით	□ მიჭირს პასუხის გაცემა	

დიაგრამა №2


როგორ შეიცვალა საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში?



■ საგრძობლად გაუმჯობესდა	■ ოდნაე გაუმჯობესდა	□ არაფერი შეცვლილა
□ ოდნაე გაუარესდა	■ საგრძობლად გაუარესდა	■ მიჭირს პასუხის გაცემა


დიაგრამა №3

როგორ შეიცვალა თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში?




დიაგრამა №4

როგორ შეიცვლება ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში მომავალი ერთი წლის განმავლობაში?



როგორ შეიცვლება თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა მომავალი ერთი წლის განმავლობაში?



როგორც დიაგრამებიდან ჩანს, საქართველოში მოვლენების სწორი მიმართულებით განვითარებას რესპონდენტთა უმრავლესობა (55.0%) აღიარებს. თუმცა, საინტერესოა, რომ რესპონდენტები ასეთივე ენთუზიაზმით არ მიუთითებენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. კიდევ უფრო ნაკლებია იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც ბოლო ერთი წლის მანძილზე საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის ზრდას აღნიშნავენ – აქ, პირიქით, გამოკითხულთა უმრავლესობა (55.7%) მიუთითებს, რომ მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა არ შეცვლილა. როგორც ჩანს, რესპონდენტთა დადებითი განწყობა ბოლო ხანს საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით არ გაიზომება როგორც ქვეყნის, ისე მათი ოჯახის ეკონომიკური წარმატების ფაქტორით და ამ სხვა ინდიკატორები მონაწილეობს.

არსებული ეკონომიკური მდგომარეობის არც თუ დამაიმედებელი შეფასების ფონზე, რამდენად ოპტიმისტურად არიან რესპონდენტები განწყობილი მომავალი ერთი წლის განმავლობაში მოსალოდნელი ეკონომიკური ცვლილებების მიმართ როგორც ქვეყანაში, ისე საკუთარ ოჯახებთან დაკავშირებით? როგორც დიაგრამებზე მოცემული შედეგები აჩვენებს, ორივე შემთხვევაში რესპონდენტთა

უფრო დიდი ნაწილის ოპტიმიზმი ზომიერია და ისინი ეკონომიკური მდგომარეობის ოდნავ გაუმჯობესებას ელოდებიან. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებას საერთოდ არ ელოდება. ყურადსაღებია პროგნოზის არმქონეთა ხვედრითი წილიც: ყოველ მეოთხე გამოკითხულს უჭირს მათი ოჯახების, ხოლო ყოველ მეხუთე რესპონდენტს – ქვეყნის მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირება. ამასთან, მეკეთრად ოპტიმისტურ, ან მეკეთრად პესიმისტურ პროგნოზებს რესპონდენტთა უმნიშვნელო რაოდენობა გამოთქვამს. **საბოლოო ჯამში, თუ იმ რესპონდენტთა კოიციმებს შევაჯერებთ, რომლებსაც გარკვეული მოლოდინები ბაჩნით ქვეყნისა და საკუთარი ოჯახების მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ, სკალაზე საშუალო შეფასება ადასტურებს ოპტიმისტური მაჩვენებლისკენ გადახრას:**


საშუალო შეფასებებია: **2.44 ქვეყნისათვის და 2.50 – ოჯახებისათვის** ხუთწევრიან სკალაზე, სადაც პუნქტი 1 აღნიშნავს პოზიციას “საგრძობლად გაუმჯობესდება”; პუნქტი 2 – “ოდნავ გაუმჯობესდება”; პუნქტი 3 – “არაფერი შეიცვლება”; პუნქტი 4 – “ოდნავ გაუარესდება”, ხოლო პუნქტი 5 – “საგრძობლად გაუარესდება”.

თუ როგორც ქვეყნის, ისე ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ზოგადი შეფასებისა და მომავლის მოლოდინების მონაცემებს გავაანალიზებთ სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთო სურათი არ იცვლება, თუმცა, შეიმჩნევა შემდეგი ტენდენციები:

რაც უფრო მაღალშემოსავლიანი ოჯახის წარმომადგენელია რესპონდენტი, მით უფრო დადებითი განწყობა აქვს ქვეყნის ამჟამინდელი კურსის მიმართ **(იხ. დიაგრამა №6).**

დიაგრამა №6

სხვადასხვა შემოსავლის მქონე ოჯახების მიერ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შეფასება



შენიშვნა: საკუთარი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა რესპონდენტებმა შეაფასეს შემდეგ ნომინალურ სკალაზე:


1. ძალიან დაბალი; შემოსავალი კვებაზედაც არ გვეყოფნის;
2. დაბალი; შემოსავალი კვებაზე და ჩასაცმელზე ძლივს გვეყოფნის;
3. საშუალო; ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვახერხებთ;
4. მაღალი; შეფუთვითაა გართობისა და დასვენების ხარჯებსაც გავწევდეთ

ბარლა ამისა, მაღალშემოსავლიანი ოჯახების წარმომადგენელ რესპონდენტებს შორის უფრო მაღალია იმათი ხვედრითი წილი, ვინც საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს. ამასთან, საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უფრო მეტად დაბალშემოსავლიანი ოჯახების წარმომადგენლები მიუთითებენ.

რაც შეეხება ოპტიმიზმის ხარისხს ქვეყნისა და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით, ეს ხარისხიც მატულობს ოჯახების შემოსავლების ზრდასთან ერთად (იხ. დიაგრამები №7, №8):


დიაგრამა №7

სხვადასხვა შემოსავლის მქონე ოჯახების მოლოდინები ქვეყნის მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ



დიაგრამა №8

სხვადასხვა შემოსავლის მქონე ოჯახების მოლოდინები ოჯახის მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ



თუ აღწერილი ტენდენციები მეტ-ნაკლებად ბრძელვადიან პერსპექტივაში გაგრძელდა, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ეკონომიკური კოლარიზაციის პროცესი გაგრძელდება, რასაც ბარდაშვლად მოქმედებს კენსინგტონის ბანკოების ხარისხის ზრდა მოსახლეობის უმრავლესობაში.

შენიშვნა: კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობის ძალზე დიდი ნაწილი საკუთარი ოჯახის მატერიალური მდგომარეობას ძალზე მძიმე შეფასებას აძლევს:

კერძოდ, 29.9%-ს შემოსავალი კვებაზეც არ ჰყოფნის; 31.2% მიუთითებს, რომ შემოსავალი კვების პროდუქტების და ჩასაცმლის შესაძენად ძლიერს ჰყოფნის; ოჯახების 37.7% საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას აფასებს, როგორც საშუალოს და მიუთითებს, რომ ახერხებს ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას; გართობისა და დასვენების ხარჯებს გამოკითხულ რესპონდენტთა ოჯახების მხოლოდ 1.2% შეუძლია გასწვდეს.

რესპონდენტთა ბანათლების ცენზს მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეაქვს ზემოთ აღწერილი საკითხების შეფასებაში.

ასაკის ფაქტორის გავლენაც მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან ტენდენციებს ვერ ავლენს. თუმცა, ქვემოთ მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანს:

- საქართველოში მოქალაქეების განვითარების ტენდენციებს უფრო დადებითად აფასებენ 18-24 წწ. და 35-44 წწ. ასაკობრივი ჯგუფები.

- საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, სხვა ჯგუფებთან შედარებით, უფრო მეტად მიუთითებენ 18-25 წ. ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები.
- საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის მოსალოდნელი ცვლილებას უფრო ოპტიმისტურად იხევენ ზემოთ დასახელებული ჯგუფები უყურებენ.

ამრიგად, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალ რეალობასთან ადაპტაციის და მასთან დაკავშირებული ოპტიმიზმის უნარს უფრო გამოკვეთილად ახალი და საშუალო თაობის თბილისელები ავლენენ.

თაზო 2. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობის შეფასება

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში (პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი) რესპონდენტები დადებით შეფასებას მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობის მიმართ გამოთქვამენ (დადებითად აფასებს 73.9%). ხელისუფლების იმ შტოებთან მიმართებაში როგორცაა მთავრობა და პარლამენტი, რესპონდენტთა პოზიციები გაყოფილია და ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი შეფასებები არ იკვეთება.


თუმცა, უარყოფითად განწყობილ რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (47.6%) საქართველოს პარლამენტს უკავშირდება (ასეთი შედეგი რამდენადმე უჩვეულოა თუ გაითვალისწინებთ, რომ ბოლო წლების სოციოლოგიურ კვლევებში საქართველოს პარლამენტის საქმიანობა, ხელისუფლების სხვა დონეებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად იმსახურებდა უარყოფით შეფასებას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტთა ნეგატიურ განწყობას შემდეგი ფაქტორები აძლიერებს: ა) ყველა წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით (იგულისხმება გასული საუკუნის 90-იანი წლები), ამჟამინდელი პარლამენტის აშკარა კომოგენურობა და, აქედან გამომდინარე, კრიტიკული პათოსის დეფიციტი; ბ) პარლამენტის უფლებების კონსტიტუციით დაკანონებული შეზღუდვა (თუ წინა მოწვევის პარლამენტს შევადარებთ) და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ პროცესებზე მისი გავლენის შესუსტება და სხვ.)²

უცნაურად გამოიყურება, აგრეთვე, მნიშვნელოვანი განსხვავება პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის შეფასებებს შორის, რამდენადაც პრეზიდენტი პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობაზე. **როგორც ჩანს, ერთი მხრივ, პრეზიდენტის ძარიზმით გამოწვეული მაღალი რეიტინგი არ ქმნის საკმარის რესურსს საქართველოს მთავრობის პოზიტიური შეფასებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, მთავრობის კაბინეტის შედარებითი დამოუკიდებლობა და პრემიერ-მინისტრის პოსტის არსებობა მთავრობისა და პრეზიდენტის საქმიანობების შეფასებათა გადაფარვისათვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს.**

² თუმცა, გამოკითხვის მონაცემები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დასახელებული ფაქტორების ზემოქმედებაზე კატეგორიულად ვამტკიცოთ. მათ მხოლოდ პიპოთეტური ხასიათი აქვთ.

საქართველოს ხელისუფლების მიმართ რესპონდენტთა ზემოაღნიშნული შეფასებები, საშუალო მაჩვენებლების სახით, მოცემულია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა №9):

როგორ აფასებთ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების საქმიანობას? (საშუალო მაჩვენებლები)



დიაგრამა №9

შენიშვნა: საშუალო მაჩვენებლები დათვლილია შეფასების ოთხწევრიანი სკალიდან: პუნქტი 4 აღნიშნავს შეფასებას “დადებითად”; 3 – “უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად”; 2 – “უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად”; 1 – “უარყოფითად”. ამდენად, მოცემული სკალისათვის ნეიტრალური შეფასების საშუალო მაჩვენებელი იქნება 2.5, შესაბამისად, მაჩვენებლები, რომლებიც >2.5 აღნიშნავს დადებითი განწყობის კონტინუუმს, ხოლო, მაჩვენებლები, რომლებიც <2.5 – უარყოფითი განწყობის კონტინუუმს³.

აჩვენებს თუ არა რაიმე განსხვავებას ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შეფასებებისას რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები?

რესპონდენტთა ოჯახების **ეკონომიკური მდგომარეობის** მიხედვით საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის საქმიანობის შეფასებები არაღივარმენცირებულა, ანუ შემოსავლის მიხედვით დიფერენცირებულ რესპონდენტთა შეფასებებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი

³ ცენტრალური ხელისუფლების თითოეული შტოს საქმიანობის შეფასებათა პროცენტული მაჩვენებლები დაწვრილებით იხილეთ დანართში.

ბანსხვაგვებზე არ შეიმჩნევა. მცირე ბანსხვაგვებზე უიქსირდება მხოლოდ პრეზიდენტის საქმიანობის შეფასებისას. კერძოდ, მატერიალური მდგომარეობის მიხედვით უკეთესი მდგომარეობის ოჯახების წარმომადგენელი რესპონდენტები უფრო დადებითად აფასებენ პრეზიდენტის საქმიანობას.

როგორ აფასებენ სხვადასხვაგვარი *ბანათლების ცენზის* მქონე რესპონდენტები საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს საქმიანობას?


გამოკითხვა აჩვენებს, რომ ამ პარამეტრით რაიმე მნიშვნელოვან ბანსხვაგვებს აღბილი აქვს აქვს. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ უმაღლესი ბანათლების მქონე რესპონდენტები ოდნავ უფრო კრიტიკულად არიან განწყობილნი როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ისე საქართველოს მთავრობის საქმიანობის მიმართ. თუმცა, ამ ჯგუფშიც მონაცემები იმეორებს გამოვლენილ საერთო სურათს: კერძოდ, პრეზიდენტის მიმართ დადებითად განწყობილთა ხვედრითი წილი უმაღლესი ბანათლების მქონე რესპონდენტთა ჯგუფში 70%-ია, საშუალო ბანათლების მქონეთა ჯგუფში – 76.7% (შესაბამისად, უარყოფითად განწყობილთა თანაფარდობაა 26% - 20.3%).

დაახლოებით ასეთივე სურათია მთავრობის საქმიანობის შეფასებისას: მთავრობის საქმიანობას დადებითად აფასებს უმაღლესი ბანათლების მქონე რესპონდენტთა 50.2% და საშუალო ბანათლების მქონე რესპონდენტთა - 56.6%.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის შეფასებას, ამ ბანათლების ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვან ბანსხვაგვებს არ იძლევა. უმაღლესი და საშუალო ბანათლების მქონე რესპონდენტთა შეფასებები ფაქტობრივად იდენტურია.

ასაკობრივ ჯგუფებს შორის და ხელისუფლების შეფასებებთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანი ტენდენციები არ ჩანს. ძველთა მოყვანილია ამ დამოკიდებულების ამსახველი დიაგრამა (*იხ. დიაგრამა №10*).

დიაგრამა №10



შენიშვნა: საშუალო მაჩვენებლები ამ შემთხვევაშიც დათვლილია იმავე წესით, როგორც ეს დიაგრამა №9-ის შენიშვნაშია აღწერილი.

თავი 3. ქ. თბილისის ხელისუფლების საქმიანობის შეფასება

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, თბილისის ხელისუფლებაში (მერი, მთავრობა საკრებულო) შედარებით უკეთესი პოზიციები თბილისის მერს აქვს – მის საქმიანობას გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51.3%) დადებითი ნიშნით აფასებს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (40.2%) მერის საქმიანობის უარყოფითი შეფასებისკენ იხრება. ქ. თბილისის მთავრობის საქმიანობის შეფასებაში პოზიციები გაყოფილია, ხოლო საკრებულოს საქმიანობის მიმართ უფრო უარყოფითი განწყობები სჭარბობს. საინტერესოა კიდევ ერთი შედეგი: თბილისის საკრებულოსა და მთავრობის საქმიანობის შეფასება გაუჭირდა საშუალოდ ყოველ მესამე რესპონდენტს.


როგორც ჩანს, თბილისის მთავრობის და საკრებულოს მოღვაწეობა საკმაოდ უშედეგოა, ან გაუხეხილი საქმიანობის საჯაროებისთვის კალისხმევა საკმაოდ სუსტია იმისათვის, რომ საზოგადოებრივ

ახრზე ბარკვეული ზემოქმედება (კოზითიური ან ნებათიური) მოახლინოს.

თუ რესპონდენტთა ზემოაღნიშნულ შეფასებებს საშუალო მაჩვენებლების სახით წარმოვადგენთ, გრაფიკულად ასეთ სურათს მივიღებთ: (იხ. დიაგრამა №11):

დიაგრამა №11

როგორ აფასებთ ქ. თბილისის ამჟამინდელი ხელისუფლების საქმიანობას?
(საშუალო მაჩვენებლები)



შენიშვნა: საშუალო მაჩვენებლები დათვლილია შეფასების ოთხწევრიანი სკალიდან: პუნქტი 4 აღნიშნავს შეფასებას “დადებითად”; 3 – “უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად”; 2 – “უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად”; 1 – “უარყოფითად”. ამდენად, მოცემული სკალისათვის ნეიტრალური შეფასების საშუალო მაჩვენებელი იქნება 2.5, შესაბამისად, მაჩვენებლები, რომლებიც >2.5 აღნიშნავს დადებითი განწყობის კონტინუუმს, ხოლო, მაჩვენებლები, რომლებიც <2.5 – უარყოფითი განწყობის კონტინუუმს⁴.

თბილისის რაიონების მიხედვით ქალაქის ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მიმართ დამოკიდებულების საშუალო მაჩვენებლები ასეთია (იხ. ცხრილი №1):

ცხრილი №1

	დიღუბე-ჩუღურეთი	ვაკე-საბურთალო	გლდანი-ნაძალადევი	ისანი-სამბორო	მთაწმინდა-პრწანისი
თბილისის მერი	2.51	2.33	2.51	2.69	2.31
თბილისის მთავრობა	2.45	2.27	2.37	2.36	2.26
Tbilisi sakrebulo	2.3	2.21	2.31	2.31	2.19

⁴ თბილისის ხელისუფლების თითოეული შტოს საქმიანობის შეფასებათა პროცენტული მაჩვენებლები დაწვრილებით იხილეთ დანართში.

შენიშვნა: ცხრილში მოცემული საშუალო მაჩვენებლები დათვლილია იმავე სკალაზე და იმავე წესით, როგორც ეს ღიაბრამა №11-ის შენიშვნაშია აღწერილი.

როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემები აჩვენებს, თბილისის მთავრობისა და საკრებულოს საქმიანობის შეფასებები არც ერთ რაიონში არ არღვევს უარყოფითი განწყობის ზოგადად გამოვლენილ სურათს. ამ თვალსაზრისით მხოლოდ თბილისის მერის მიმართ გამოთქმული შეფასებები გამოირჩევა. კერძოდ, მისი საქმიანობის მიმართ მკვეთრად გამოხატული დადებითი განწყობაა ისანი-სამგორის რაიონებში, ხოლო უარყოფითი დამოკიდებულებისაკენ მთაწმინდა-კრწანისისა და ვაკე-საბურთალოს რაიონების მოსახლეობა იხრება.

იძლევა თუ არა რაიმე განსხვავებებს, ამ მიმართულებით, თბილისელთა სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები?

თბილისის ხელისუფლების შეფასებისას ნაწილობრივ მეორდება საქართველოს კრეზიდენტის საქმიანობის შეფასებისას გამოვლენილი სურათი. კერძოდ, უფრო კარგი *ეკონომიკური მდგომარეობის* წარმომადგენელი რესპონდენტები ოდნავ უფრო ლოიალურად არიან განწყობილნი ქალაქის ხელისუფლების მიმართ.

რაც შეეხება რესპონდენტთა *ბანათლების ცენზის* და ქალაქის ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შეფასებებს შორის დამოკიდებულებას, აქაც სურათია ნაცნობია: თბილისის მერის საქმიანობის შეფასებისას უმაღლესი ბანათლების მქონე რესპონდენტთა ჯგუფი უფრო კრიტიკულია.

რაც შეეხება დამოკიდებულებას თბილისის მთავრობასა და საკრებულოს მიმართ, აქ შეფასებები ბანათლების ცენზის მიხედვით დიფერენცირებული არაა.

საინტერესოა, რომ პიროვნულად თბილისის მერის, პრემიერისა და საკრებულოს თავჯდომარისადმი დამოკიდებულება თანმიმდევრულად არ იმეორებს ამ ინსტიტუციური სტრუქტურებისადმი დამოკიდებულებას. როგორია თბილისის *ხელისუფალთა იმიჯები* თბილისელთა თვალში?

რესპონდენტებს საშუალება მიეცათ გამოეხატათ თავისი დამოკიდებულება თბილისის მერის, პრემიერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიმართ შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

- პატიოსნება და არაკორუმპირებულობა
- ხალხზე ზრუნვა, ხალხთან სიახლოვე
- პროფესიონალიზმი
- საკადრო პოლიტიკა
- არჩევნებში ხმის მიცემისთვის კარგი კანდიდატურა
- საკუთარი თავის რეკლამაზე ან საქმეზე ორიენტირებულობა
- ორგანიზატორული უნარი
- თბილისის მომავლის სტრატეგიული ხედვის უნარი
- სამუშაო ადგილების შექმნაზე ზრუნვა
- ორიენტაცია უფრო მეტად ხალხის ან უფრო მეტად ხელისუფლების ინტერესებზე
- რეფორმატორობა (“ნამდვილი ცვლილებების მომტანია”)
- ლიდერის სტრატეგიის გარკვეულობა და გამჭვირვალობა

თუ სამივე ლიდერისადმი დამოკიდებულებას გადავხედავთ, ნათელია, რომ მოსახლეობა ყველაზე უკეთ ზ. ჭიაბერაშვილს იცნობს, დანარჩენი ორი ლიდერის ცნობადობისა და მათ მიმართ გარკვეული დამოკიდებულების გამოხატვის ხარისხი ძალზე დაბალია. კერძოდ, გამოკითხულ რესპონდენტთა 66.5% მიუთითებს, რომ არაფერი იცის თ. ქურხულის შესახებ, ხოლო რესპონდენტთა 17-20%-ს არა აქვს გარკვეული მოსაზრება მისი იმიჯის ამა თუ იმ ნიშნით დახასიათების შესახებ; ასევე, გამოკითხულთა 47.6%-მა არ იცის ვინაა ზ. ბეგაშვილი, ხოლო 23-25%-ს უჭირს მისი თვისებების შესახებ გარკვეული აზრის გამოთქმა.

ამ მონაცემების ბათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ ზ. ჭიაბერაშვილის შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ მონაცემებზე, რომელთა სტატისტიკური სანდოობა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გამოვლენილი შეფასებები ბანვანობადოთ თბილისის მოსახლეობის მასშტაბით. თ. ქურხულთან და ზ. ბეგაშვილთან მიმართებაში იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც მათი ამა თუ იმ ნიშნით დახასიათება შეძლეს, არ

არის სტატისტიკურად სანდო იმისათვის, რომ ქ. თბილისის მოსახლეობის მასშტაბით ამ პიროვნებათა მკაფიოდ ჩამოყალიბებული იმიჯის შესახებ ვიმსჯელოთ.

ზ. ჭიაბერაშვილის იმიჯის გამოკვეთილი დადებითი მახასიათებლებია: პატიოსნება, არაკორუმპირებულობა და ხალხთან სიახლოვე. იმიჯის გამოხატული უარყოფითი მახასიათებლებია: სამუშაო ადგილების შექმნაზე მიმართული მუშაობის არაეფექტურობა; საკადრო პოლიტიკა, რომელიც ხელს არ უწყობს პროფესიონალი კადრების მოზიდვას; ხელისუფლების ინტერესების წინა პლანზე დაყენება და საკუთარი თავის რეკლამირებაზე ზრუნვა.

მიუხედავად იმისა, რომ ზ. ჭიაბერაშვილის დახასიათებაში ზემოთ აღნიშნული კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით ნებატიური შეფასებები სჭარბობს, როგორც ჩანს, არაკორუმპირებულობა და ხალხთან სიახლოვე იმდენად მნიშვნელოვანი კოზითიური ფაქტორებია, რომ მისი საქმიანობის მიმართ რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილის ზოგადად დადებით დამოკიდებულებას განაკვირვებს (როგორც ეს ზემოთ იქნა ნაჩვენები).

როგორც უკვე აღინიშნა, თ. ქურხულისა და ზ. ბეგაშვილის კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით დახასიათება რესპონდენტთა ძალზე მცირე რაოდენობამ შეძლო, რაც მონაცემების სტატისტიკურ სანდოობას ამცირებს. მიუხედავად ამისა, მაინც მოვიყვანთ ამ ლიდერების იმიჯთან დაკავშირებულ ზოგად სურათს:

ზ. ბეგაშვილის დახასიათება, ძირითადად, უარყოფით კონტექსტში ხდება. მას დადებითი პოზიცია მხოლოდ არაკორუმპირებულობის მახასიათებლით აქვს, თუმცა, ამ მაჩვენებლითაც ჩამორჩება ორ დანარჩენ ლიდერს.

თ. ქურხულის იმიჯი, მახასიათებელთა დიდი უმრავლესობის მიხედვით, დადებითია. თუმცა უნდა ითქვას, რომ კვლევის ჩატარების პერიოდში იგი სულ ახალი მოსული იყო ქალაქის ხელისუფლებაში და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს უფრო მეტად მისი მომავალი საქმიანობის მიმართ *მოლოდინების იმიჯია*, ვიდრე

არსებული გამოცდილებისა და რეალური საქმიანობის შედეგად განმტკიცებული იმიჯი.

თუ გადავხედავთ სამივე ლიდერის დახასიათებას, კიდევ ერთი ფაქტი იმსახურებს ყურადღებას: ყველაზე დაბალ შეფასებებს სამივე მათგანი იღებს ისეთ მახასიათებელში, როგორცაა **სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობაზე ზრუნვა**. როგორც ჩანს, თბილისელებისთვის ეს ყველაზე აქტუალურ პრობლემად რჩება და მოსახლეობა ყველაზე მკაცრად ხელისუფლების წარმომადგენლებს სწორედ ამ ფაქტორთან მიმართებაში განსჯის.

უფრო დეტალურად, სტატისტიკურ მაჩვენებლების მოხმობით, თბილისის ხელისუფლების წარმომადგენელთა იმიჯი, კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით, ასე გამოიყურება (*იხ. ცხრილი №2*):

ცხრილი №2

№		ზურაბ ჭიაბერაშვილი	თემურ ქურსული	ზაზა ბეგაშვილი
1.	პატიოსანი და არაკორუმპირებულია	2.9	3.0	2.6
2.	ხალხთან ახლოსაა (ზრუნავს ხალხზე)	2.5	2.7	2.4
3.	საქმის კარგი მცოდნე, პროფესიონალია	2.4	3.0	2.4
4.	ხელს უწყობს პროფესიონალი კადრების მოზიდვას	2.1	2.7	2.2
5.	ეს არის პიროვნება, რომელიც არჩევნებში ხმის მიცემას იმსახურებს	2.2	2.4	2.2
6.	საკუთარი თავის რეკლამირებაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე საქმეზე	2.9	2.9	2.8
7.	კარგი ორგანიზატორია	2.5	2.7	2.5
8.	აქვს კარგად გააზრებული გეგმა თბილისის მომავალი განვითარებისათვის	2.3	2.3	2.2
9.	ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას	1.9	2.7	1.9
10.	ხელისუფლების ინტერესებს უფრო ემსახურება, ვიდრე ხალხის	3.0		2.9
11.	ნამდვილი ცვლილებების მომტანია	2.2	2.5	2.1
12.	ჩემთვის გაუგებარია (ბუნდოვანია), რას უჭერს მხარს	2.5	2.4	2.6

შენიშვნა: ცხრილში მოტანილია ოთხწევრიანი სკალის საშუალო მაჩვენებლები; ამ სკალაზე ხდებოდა რესპონდენტთა მიერ თითოეული მახასიათებლის გაზომვა. კერძოდ, თუ რომელიმე თვისება, რასპონდენტთა აზრით, სავსებით შეესაბამებოდა დასახელებულ პიროვნებებს, ინტერვიუერი აფიქსირებდა კოდს 4, თუ “უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე არა” – კოდს 3, თუ “უფრო არ შეესაბამებოდა, ვიდრე კი” – კოდს 2, ხოლო თუ “სრულიად არ შეესაბამებოდა” – კოდს 1. მაშასადამე, აღნიშნული სკალის საშუალო მაჩვენებლის ნეიტრალური პოზიციიდან (რომელიც 2.5-ის ტოლია) მეტობით გადახრა (>2.5) აღნიშნავს მოცემული თვისების პიროვნების მიმართ უფრო მეტად შესაბამისობაზე, ხოლო ნაკლებობით გადახრა (<2.5) – მოცემული მახასიათებლის უფრო მეტად შეუსაბამობაზე.

თბილისის ხელისუფლებაში 2004 წლის ბოლოს განხორციელებულ საკადრო ცვლილებებთან (ბ. ბრეგაძის წასვლა თბილისის პრემიერის თანამდებობიდან და ამ

პოსტზე თ. ქურხულის დანიშვნა) დაკავშირებით გამოკითხვამ აჩვენა, რომ აღნიშნულ გადაადგილებებს თბილისელთა დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. კერძოდ, ყოველი მეორე რესპონდენტი ვერ აფიქსირებს თავის პოზიციას ქალაქის პრემიერის თანამდებობიდან ბ. ბრეგაძის წასვლასთან დაკავშირებით, გამოკითხულთა 71% კი – თ. ქურხულის ქალაქის პრემიერის პოსტზე დანიშვნასთან დაკავშირებით. რაც შეეხება რესპონდენტთა დანარჩენი ნაწილის განწყობას, მონაცემები გვიჩვენებს, რომ მათი უფრო დიდი ნაწილი განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს სწორად მიიჩნევს. ბრეგაძის თანამდებობიდან წასვლას დადებითად აფასებს 34.6%, უარყოფითად კი – 13.2%. ასევე, ქურხულის ქალაქის პრემიერის თანამდებობაზე დანიშვნას დადებითად აფასებს 22.6%, უარყოფითად კი – 6.5%

ვის მიიჩნევენ თბილისელები თბილისის მერის პოსტზე ყველაზე სასურველ კანდიდატად?

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ თბილისის მერის პოსტზე სასურველ კანდიდატს თბილისელთა დიდი უმრავლესობა ვერ ასახელებს. შეკითხვაზე: “ხვალ რომ თბილისის მერის არჩევნების იყოს, ვინ იქნებოდა თქვენთვის სასურველი კანდიდატურა?” – გამოკითხულთა 74.6%-მა ვერ უპასუხა.

შედარებით ძლიერ პოზიციებს ისევ თბილისის მოქმედი მერი ინარჩუნებს. ზ. ჭიაბერაშვილი მერობის სასურველ კანდიდატად რჩება თბილისის მოსახლეობის 12.6%-სთვის.

ზ. ჭიაბერაშვილის გარდა მერობის სასურველ კანდიდატად დასახელდა 44 პიროვნება, თუმცა მათგან მხოლოდ სამმა დაძლია 1 %-იანი ზღვარი⁵:

- ივანე ზოდელავა 3.8%
- ლევან გაჩეჩილაძე 1.3%
- თემურ ქურხული 1.1%

⁵ თბილისის მერობის სასურველი კანდიდატების სრული სია იხ. დანართში.

ქ. თბილისის რაიონების გამგეობების საქმიანობის შეფასება

იცვლება თუ არა ვითარება მაშინ, როდესაც რესპონდენტები საკუთარი საცხოვრებელი რაიონის გამგეობის მიმდინარე საქმიანობას აფასებენ?

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ამ მიმართულებით საერთო სურათი გაცილებით მძიმეა როგორც საქართველოს ცენტრალური, ისე ქალაქის ხელისუფლების შეფასებებთან შედარებით. გამგეობების შეფასებაში, ძირითადად, ორი პოზიცია იკვეთება: ა) უარყოფითი და ბ) შეფასების არქონა (“მიჭირს პასუხის გაცემა”) (იხ. ცხრილი №3).

ცხრილი №3

	როგორ აფასებთ თქვენი რაიონის გამგეობის მიმდინარე საქმიანობას?	(%)
1.	დადებითად	3.9
2.	უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად	11.0
3.	უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად	12.7
4.	უარყოფითად	33.1
5.	მიჭირს პასუხის გაცემა	39.3

თუ გამგეობების შეფასების საერთო სურათს კონკრეტულ რაიონებთან მიმართებაში გავანალიზებთ, ამ თვალსაზრისით ყველაზე მძიმე მდგომარეობა ქალაქის პერიფერიულ უბნებშია. კერძოდ, სხვა რაიონებთან შედარებით გამგეობის საქმიანობას ყველაზე უარყოფით შეფასებას გლდანი-ნაძალადევისა და ისანი-სამგორის რაიონების მოსახლეობა აძლევს.

ეს, სავარაუდოდ, იმით უნდა აიხსნას, რომ ცენტრალურ რაიონებთან შედარებით, ქალაქის პერიფერიები გაცილებით კეთილმოუწყობელია, ხოლო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები გაცილებით პრობლემატური. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პერიფერიის გამგეობების უარყოფითი შეფასება არა იმდენად გამგებლების მიმართ ნეგატიური განწყობით უნდა იყოს მოტივირებული, არამედ არსებული ობიექტური ვითარების სიმძიმით.

იკვეთება კიდევ ერთი თავისებურება: ქალაქის ცენტრალურ რაიონებში (ვაკე-საბურთალო) მოსახლეობის უმრავლესობა ვერ იძლევა გამგეობების მუშაობის გარკვეულ (დადებით ან უარყოფით) შეფასებას. შესაბამისად, პრესტიჟულ (“ელიტურ”) რაიონებში ნაკლებად ინტერესდებიან ადგილობრივი გამგეობების საქმიანობით.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ცენტრალური უბნების მოსახლეობა, შედარებით უკეთესი ეკონომიკური და მატერიალური პირობების გამო, უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული მათი რაიონების გამგეობების ზრუნვაზე და ხელეწიფება გარკვეული პრობლემების საკუთარი ძალებით მოგვარება.

უფრო დეტალურად თბილისის ცალკეული რაიონების გამგეობების შეფასებები იხ.

ცხრილში №4:

ცხრილი №4

	როგორ აფასებთ თქვენი რაიონის გამგეობის მიმდინარე საქმიანობას?	დადებითად (%)	უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად (%)	უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად (%)	უარყოფითად (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	დიდუბეჩულურეთი	5.2	9.7	13.4	29.7	42.0
2.	ვაკე-საბურთალო	2.6	8.9	10.1	15.7	62.7
3.	გლდანი-ნაძალადევი	3.5	9.2	15.7	39.8	31.8
4.	ისანი-სამგორი	4.7	13.8	10.6	40.2	30.7
5.	მთაწმინდა-კრწანისი	3.5	15.7	13.8	32.3	34.6

საინტერესოა, რომ თუ სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით ბავაანალიზებთ გამგეობების შეფასებებს, ცენტრალური რაიონების გამგეობების საქმიანობის მიმართ გამჭლავნეული ბარკვეული გულბრილობის ტენდენციას იმეორებს დამოკიდებულების ანალიზი **ბანათლების ცვლადის** მიხედვით. კერძოდ, უმაღლესი ბანათლების მქონე რესპონდენტთა შორის იმათი ხვედრითი წილი, ვისაც ბარკვეული მოსახრება არა აქვს გამგეობების მუშაობის შესახებ უფრო მაღალია საშუალო ბანათლების მქონეებთან შედარებით (ხელისუფლების ამ რბოლის შეფასება გაუჭირდა უმაღლესი ბანათლების მქონე რესპონდენტთა 41.1%-ს და საშუალო ბანათლების მქონეთა –35.4%-ს). ბარდა ამისა, გამგეობების მუშაობის უარყოფითად შემფასებელთა ხვედრითი წილი (49%) უფრო მაღალია საშუალო ბანათლების რესპონდენტთა ჯგუფში (შესაბამისი მაჩვენებელი მეორე ჯგუფისთვის 44.6%-ია).

ამდენად, ხელისუფლების “ლოკალიზაციის” ხარისხის ზრდასთან ერთად უმაღლესი ბანათლების მქონე რესპონდენტების ინტერესი მის მიმართ კლებულობს.

თავი 4. ძ. თბილისში მოსახლარბეული და მოგვარბეული პრობლემბე

როგორბა თბილისბს მოსახლბობბს აზრბ ქალბქში პრობლემური სფერობბს პრბორბტბულბბს შესახებ?

რესპონდენტბე ბრჩედნენ წბნასწარ შეთავაზბებული ბცბ პრობლემური სფეროდან ხუთ - ყველბზე მეტად პრბორბტბულს.

კვლბვის შედეგბე ბვბჩვბნბს, რომ თბილისელბა ყურბდლბბა უფრო მეტად შეხერდბ ბმ პრობლემბეზე, რომლბბბც მოსახლბობბს დსსაქმბბსბნ, ეკონომბკურ მდგომარბობსბნ, სოცბბლურ დაცვსბნ და ქალბქში არსბულ კრბმბნალურ მდგომარბობსბნბბ დბკავშირბებული.

ხუთბვე რბნგში დასახელებბს სბსბბრბს მბხედბთ გამოვლენბლი პრობლემბბს პბრველი ხუთბული ასე გამობყურბბა:

- უმუშევრობბ 82.7%
- დბბბლი ხელფასბე და პენსბებ 75.6%
- სამედბცბნო მომსახურბბს სბძვბრე 61.7%
- სოცბბლურად დბუცველი ფენბბს მდგომარბობბ 42.7%
- კრბმბნალური ვბთარბბბ 32.4%.

ქალბქბს ბნფრბსტრუქტურბსბნ და სბქალბქო მეურნეობბსბნ დბკავშირბებული პრობლემბბე თბილისელბთბვის აშკარად მეორე პლბნზებ. ამ პრობლემბბს შორბს ბკვეთბბ რბმდენბმე პრბორბტბე:

- დბნგრეული გზბე და კეთბლმოუწყობელი ქუჩბე 31.3%
- ბნტბსბნბტბრბბ 29.4%
- ბვბრბული სბხლებბ 18.7%
- ელექტრომომბრბგბბ 16.7%

უნდბ ბდბნბშნოს, რომ თბილისელბბ სბკმბოდ დბდი ნბწბლის (22.9%) აზრბთ, კორუფცბბ ქალბქში ჯერ კბდეკ მნბშენელბვბნბ პრობლემბბბ.

მოსახლეობის უფრო მცირე ნაწილს შემდეგი პრობლემები აწუხებს:

- ეკოლოგიურად დაბინძურებული გარემო 11.7%
- მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემები 11.6%
- წყალმომარაგება 8.7%
- ბაგა-ბაღებისა და სკოლების კეთილმოწყობა 8.6%
- მოსახლეობის სანიტარული და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოება 8.1%
- ქალაქის იერსახის დამახინჯება 7.7%
- გაზმომარაგება 7.2%
